583
1961/2
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 9 (132) 30 მარტი 1961 წ.


## შინაარსი

### სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

### განყოფილება პირველი


142. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ელექტრონული ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ.

143. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ელექტრონული ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — სსრ კავშირის მინისტრად ამხ. ა. ი. შოკინის დანიშვნის შესახებ.

144. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „გზათა სამინისტროს გასამხედროებული დაცვის პირადი შემადგენლობის პერსონალურ წოდებათა და ახალი განმასხვავებელი ნიშნების შემოღების თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

145. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე სსრ კავშირსა და განის რესპუბლიკას შორის შეთანხმების ოქმის რატიფიკაციის შესახებ.

146. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე კანონის 25 მუხლის დამატების შესახებ.

147. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უკრაინის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

148. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უკრაინის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მოქმედებაში შესვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

149. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სკულპტორ მ. გ. მანიზერის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

150. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არმიის გენერალ ა. ს. ჟადოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

151. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

152. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უფროს ლეიტენანტ ი. ს. სტუდენცოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით და სერჟანტ ნ. ა. ფედოროვის მედლით „მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.

## საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

### განყოფილება პირველი

153. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ.

154. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. მ. მამულაძის საქართველოს სსრ დამზადებათა მინისტრად დანიშვნის შესახებ.

### განყოფილება მეორე

155. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „საბჭოთა აჭარის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

156. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

157. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**142** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ელექტრონული ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეიქმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ელექტრონული ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცოს ხსენებული კომიტეტის გამგებლობაში გადასაცემი საწარმოებისა და ორგანიზაციების ნუსხა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 17 მარტი.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**143** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ელექტრონული ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — სსრ კავშირის მინისტრად ამხ. ა. ი. შოკინის დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე ივანეს ძე შოკინი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ელექტრონული ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 17 მარტი.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**144** „გზათა სამინისტროს გასამხედროებული დაცვის პირადი შემადგენლობის პერსონალურ წოდებათა და ახალი განმასხვავებელი ნიშნების შემოღების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

ცნობილ იქნას ძალადაკარგულად 1961 წლის 1 ივნისიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 25 ივნისის ბრძანებულება „გზა-

თა სამინისტროს გასამხედროებული დაცვის პირადი შემადგენლობის პერსონალურ წოდებათა და ახალი განმასხვავებელი ნიშნების შემოღების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1949 წელი, № 32).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 18 მარტი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 145 ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე სსრ კავშირსა და განის რესპუბლიკას შორის შეთანხმების ოქმის რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი ოქმი 1960 წლის 4 აგვისტოს შეთანხმებისა ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და განის რესპუბლიკას შორის, ხელმოწერილი აკრაში 1960 წლის 23 დეკემბერს, რატიფიცირებულ იქნას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 20 მარტი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 146 სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე კანონის 25 მუხლის დამატების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაემატოს სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 25 მუხლს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსით:

„სავალუტო ფასეულობით ან ფასიანი ქაღალდების სპეკულაცია ხელობის სახით ან დიდი ოდენობით, აგრეთვე სავალუტო ოპერაციების შესახებ წესების დარღვევა იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ამ მუხლის პირველი ნაწილით იყო მსჯავრდებული, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 25 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 147 უკრაინის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისად სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ და სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონებისა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დადგინდეს, რომ სსრ კავშირის ქვემონაჩვენები საკანონმდებლო აქტები ძალადაკარგულად ჩაითვლება უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1961 წლის 1 აპრილიდან, ე. ი. რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ძალაში შესვლის მომენტიდან:

1. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 23 იანვრის დადგენილება „პასუხისმგებლობის შესახებ ისეთი დანაშაულისათვის, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს ტრანსპორტის მუშაობაში“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 4, მუხლი 44).

2. „სასაზღვრო ზოლებში შესვლისა და ცხოვრების თაობაზე“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 17 ივლისის დადგენილების მუხლი 3 (სსრ კავშირის კან. კრ. 1935 წელი, № 45, მუხლი 377);

3. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 7 სექტემბრის დადგენილება „სასაზღვრო ზოლებში შესვლისა და ცხოვრების თაობაზე“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 17 ივლისის დადგენილების შეცვლის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1937 წელი, № 59, მუხლი 251);

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 9 აპრილის ბრძანებულება „სატვირთო მატარებლებით თვითნებური მგზავრობისათვის და საჭიროების გარეშე გასაჩერებელი ონკანით მატარებლის თვითნებურად გაჩერებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1941 წელი, № 16);

5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 2 მაისის ბრძანებულება „სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით და სამკერდე ნიშნებით უკანონო დაჯილდოებისათვის, ორდენების, მედლებისა და სამკერდე ნიშნების მითვისებისათვის და დაჯილდოებულ პირთა მიერ მათი სხვა პირებ-

ზე გადაცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1943 წელი, № 18);

6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1947 წელი, № 19);

7. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1947 წელი, № 19);

8. სსრ კავშირის 1948 წლის 4 თებერვლის კანონი „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 6);

9. სსრ კავშირის 1948 წლის 4 თებერვლის კანონი „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 6);

10. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 4 იანვრის ბრძანებულება „გაუპატიურებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ"; (გაზეთი „პრავდა უკრაინი", 1949 წლის 5 იანვარი, № 3);

11. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 14 თებერვლის ბრძანებულება „ქვანახშირისა და ფიქალის შახტებში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ" (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა).

12. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადო ქონების წვრილმანი დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ" (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა);

13. „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების მუხლი 6 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წელი, № 1);

14. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 21 აპრილის ბრძანებულება „სასამართლოების მიერ საპატიმროებიდან ვადამდე და ვადამდე პირობით გათავისუფლების თაობაზე საქმეების განხილვის წესის შესახებ" (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა);

15. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 25 აპრილის ბრძანებულება „სასამართლოების პრეზიდიუმების მიერ საქმეების განხილვის წესის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წელი, № 7) იმ ცვლილებებით, რომელნიც შეტანილია 2 მუხლით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებასა „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა, სამხარეო, საოლქო სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქების სასამართლოების შემადგენლობაში პრეზიდიუმების შექმნის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულებასა და „სასამართლოების პრეზიდიუმების მიერ საქმეთა განხილვის წესის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 25 აპრილის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 17);

16. „მოხეტიალე ბოშების შრომაში ჩაბმის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებულების მუხლი 3 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წელი, № 21);

17. „სატრანსპორტო სასამართლოების გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის 1957 წლის 12 თებერვლის კანონის გამოყენების წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 29 მარტის დადგენილების მუხლი 1 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 8) იმ ნაწილში, რომელიც ეხება განსჯადობის განსაზღვრას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 25 მარტი.

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 148 უკრაინის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მოქმედებაში შესვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ

უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგენასთან დაკავშირებით და იმის გათვალისწინებით, რომ 1961 წლის 1 აპრილიდან მოქმედებაში შედიან უკრაინის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო ახალი კოდექსები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლის თანახმად, 1961 წლის 1 აპრილიდან სასამართლოებმა სასჯელის ზომები იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან 1961 წლის 1 აპრილიდან ძალადაკარგულად ცნობილი სსრ კავშირის კანონების მიხედვით დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია უკრაინის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მოიყვანონ უკრაინის სს რესპუბლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კის 1960 წლის 28 დეკემბრის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისობით, თუ ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის უფრო მსუბუქი ზომები.

2. ნება დაერთოს უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს, რომ უკრაინის სს რესპუბლიკის 1960 წლის 28 დეკემბრის სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედებაში შესვლიდან სასჯელის ზომის შემსუბუქება არ იქნას გამოყენებული იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულისათვის, ბანდიტიზმის, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის, სახელმწიფო ან საზოგადო ქონების დიდი ოდენობით დატაცებისა და ყაჩაღობისათვის, აგრეთვე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებზე, თუ განაჩენი ამ პირთა მიმართ მოქმედებაში შევიდა 1961 წლის 1 აპრილამდე, ე. ი. უკრაინის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედებაში შესვლამდე.

3. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს დაავალდებულონ მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროები უზრუნველყონ სასამართლოებისათვის, რომელთაც გამოიტანეს განაჩენები, საჭირო მონაცემების წარდგენა იმ პირებზე, რომელნიც მსჯავრდებულნი არიან უკრაინის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის და იხდიან სასჯელს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 25 მარტი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 149 სკულპტორ მ. გ. მანიზერის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურების აღსანიშნავად, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი მათე ჰენრიხის ძე **მანიზერი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 17 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 150 არმიის გენერალ ა. ს. ჟადოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის არმიის გენერალი ალექსი სიმონის ძე **ჟადოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 17 მარტი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 151 საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სარდლობის დავალების შესრულებისათვის **დაჯილდოებულ იქნან:**

### წითელი დროშის ორდენით

1. უმცროსი სერჟანტი ვლადიმერ თევდორეს ძე **ანტოშკინი.**
2. მაიორი ნიკოლოზ ვასილის ძე **ვიხროვი.**
3. უფროსი ლეიტენანტი ვიტალი ივანეს ძე **ვოიტოვსკი.**
4. უფროსი ლეიტენანტი ფელიქს მორდუხის ძე **ლევინი** (სიკვდილის შემდეგ).
5. კაპიტანი ალექსანდრე ექვთიმეს ძე **ლემბერსკი.**
6. უფროსი ლეიტენანტი ვლადიმერ გრიგოლის ძე **პაველიევი.**
7. კაპიტანი მიხეილ ნიკოლოზის ძე **პეტაიკინი.**
8. უფროსი ლეიტენანტი მიხეილ ივანეს ძე **საპოტენკოვი.**

### მედლით „მამაცობისათვის“

1. სერჟანტი მიხეილ პლატონის ძე **კორნეენკო.**
2. ეფრეიტორი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **მულდიიაროვი.**
3. ეფრეიტორი ვიქტორ გიორგის ძე **ნანაევი.**
4. უმცროსი სერჟანტი ვიაჩესლავ ივანეს ძე **ოვსიანიკოვი.**
5. უფროსი ლეიტენანტი მინგაჩ ნიზამის ძე **შაიხუტდინოვი.**

### მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“

1. ეფრეიტორი ვლადიმერ ზაქარიას ძე **კუჩინსკი.**
2. რიგითი ანატოლი ნიკიტას ძე **ტკალიკა.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 18 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**152** უფროს ლეიტენანტ ი. ს. სტუდენცოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით და სერჟანტ ნ. ა. ფეოდოროვის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

აუფეთქებელი ყუმბარების გაუვნებლების დროს მამაცობისა და გამბედაობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნან:

წითელი ვარსკვლავის ორდენით

უფროსი ლეიტენანტი იური სერგის ძე სტუდენცოვი.

მედლით „მამაცობისათვის“

სერჟანტი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ფეოდოროვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 20 მარტი.

# საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**153** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 22 მარტი.

**154** **ამხ. დ. მ. მამულაძის საქართველოს სსრ დამზადებათა მინისტრად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. დავით მიხეილის ძე მამულაძე საქართველოს სსრ დამზადებათა მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 22 მარტი.

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**155** **გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ პირველი ნომრის გამოსვლის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ დაჯილდოებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 24 მარტი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**156** **გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის“ პირველი ნომრის გამოსვლის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით გაზეთი „ბატუმსკი რაბოჩი“ დაჯილდოებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 24 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 157 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი მუშაობისა და თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

### საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომისა:

1. გიორგი ვარდოს ძე **აბრამიშვილს** — სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ აგრონომს.

2. ნიკოლოზ ივანეს ძე **ახვლედიანს** — კასპის რაიონის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს.

3. კორნელი კონსტანტინეს ძე **ბახტაძეს** — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსს.

4. გიორგი ალექსანდრეს ძე **გოგიშვილს** — ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ აგრონომს.

5. ივანე სოლომონის ძე **გონაშვილს** — სამგორის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის აგრონომს.

6. ნიკოლოზ ერასტის ძე **გულისაშვილს** — თეთრიწყაროს რაიონის ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის გამგეს.

7. ემა სარქისის ასულ **დავთიანს** — წითელწყაროს რაიონის სოფელ საბათლოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

8. ევგენი ივანეს ძე **დანელიას** — სამგორის რაიონის სოფელ ნორიოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

9. გიორგი ივანეს ძე **დემეტრიაშვილს** — საგარეჯოს რაიონის სოფელ საგარეჯოს კოლმეურნეობა „საქართველოს" აგრონომს.

10. გიორგი მიხეილის ძე **თანიაშვილს** — დუშეთის რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ აგრონომს.

11. ამბერკი გიორგის ძე **კაკაურიძეს** — სამგორის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს.

12. ალექსანდრე კირილეს ძე **კაჭარავას** — მცხეთის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.

13. ლევან პეტრეს ძე **კობახიძეს** — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნახუნაოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

14. შალვა იოსების ძე **კუხიანიძეს** — ქარელის რაიონის სოფელ ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს.

15. გიორგი დავითის ძე **ლუარსაბიშვილს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკვებმომპოვების განყოფილების უფროსს.

16. ბიძინა ეგნატეს ძე **მამალაძეს** — გორის რაიონის ქიწნისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.

17. ილია ზაქარიას ძე **მაღალაშვილს** — საქართველოს სსრ სოფლის მე-
ურნეობის სამინისტროს მებაღეობისა და მევენახეობის სამმართველოს უფ-
როსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. ნიკოლოზ ნიკიფორეს ძე **მეგრელიძეს** — ლენინგორის რაიონის სოფ-
ლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ აგრონომს.

19. ილია ალექსანდრეს ძე **მესტვირიშვილს** — თელავის რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ აგრონომს.

20. ვახტანგ ვასილის ძე **მირიანაშვილს** — საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სამგორის რაიკომის პირველ მდივანს.

21. ალექსანდრე სოლომონის ძე **მორჩილაძეს** — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვემო აკეთის კოლმეურნეობის აგრონომს.

22. გიორგი იონას ძე **ნიჟარაძეს** — წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლა-
კის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

23. ვასილ ოქროპირის ძე **ნიკოლაიშვილს** — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის განყო-
ფილების მთავარ აგრონომს.

24. ლიდა ლევანის ასულ **ჟვანიას** — აბაშის რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის აგრონომს.

25. იოსებ ნიკოლოზის ძე **რაქვიაშვილს** — საგარეჯოს რაიონის მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს.

26. ვენერა მინას ასულ **როინიშვილს** — სამგორის რაიონის სოფელ გლდანის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

27. ნიკოლოზ მიხეილის ძე **სარალიძეს** — გურჯაანის რაიონის მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის უფროს აგრონომს.

28. პეტრე გიორგის ძე **სოხაძეს** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დირექტორს.

29. თამარ მიხეილის ასულ **ფაიქიძეს** — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ როხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს.

30. ივანე სამსონის ძე **ფუთურიძეს** — ქობულეთის რაიონის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.

31. გიორგი ნიკოლოზის ძე **ფხაკაძეს** — წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანევის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს.

32. ვარლამ მინას ძე **ქარქაშაძეს** — ბათუმის რაიონის გონიოს ჯიშთა გა-
მოცდის ნაკვეთის გამგეს.

33. მოსე არჩილის ძე **ღლონტს** — მახარაძის რაიონის ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის აგრონომს.

34. ლეონიდე გიორგის ძე **შარაშიძეს** — „საქბოსტანჯიშთესლის“ ყოფილ მთავარ აგრონომს, პენსიონერს.

35. ალექსანდრე გრიგოლის ძე **ჩიქოვანს** — საქართველოს სსრ ჩაისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის ტრესტის მმართველს.

36. ილია თევდორეს ძე **ცივაძეს** — აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

37. მიხეილ ილარიონის ძე **ჭანუყვაძეს** — მახარაძის სატყეო მეურნეობის დირექტორს.

38. სოფიო ივანეს ასულ **ხარაზოვას** — ქარელის რაიონის ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის გამგეს.

39. კონსტანტინე თეიმურაზის ძე **ხერხეულიძეს** — ხაშურის რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ აგრონომს.

40. პეტრე სტეფანეს ძე **ხითარიშვილს** — ახალციხის რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ აგრონომს.

41. გაბრიელ ვასილის ძე **ხომასურიძეს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მემინდვრეობის სამმართველოს უფროს აგრონომს.

42. ბესარიონ სიმონის ძე **ჯანელიძეს** — სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიის ინსპექტორს საქართველოს სსრ-ში.

## საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმისა:

1. მიხეილ დიმიტრის ძე **ბედენაშვილს** — ამბროლაურის რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ ვეტექიმს.

2. ალექსანდრე ზაქარიას ძე **ბიკაშვილს** — წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ ვეტექიმს.

3. ტერენტი თევდორეს ძე **გამყრელიძეს** — თეთრიწყაროს რაიონის უფროს ეპიზოოტოლოგს.

4. ივდითი ეფრემის ასულ **თევზაძეს** — ცხაკაიას სარაიონთაშორისო ვეტბაქლაბორატორიის გამგეს.

5. დიმიტრი ილიას ძე **იმერლიშვილს** — თელავის სარაიონთაშორისო ვეტბაქლაბორატორიის გამგეს.

6. პლატონ ნიკოლოზის ძე **იოანიდის** — წალკის რაიონის ვეტბაქლაბორატორიის გამგეს.

7. შალვა ალექსანდრეს ძე **კასრაძეს** — სამხრეთ ოსეთის საოლქო ვეტბაქლაბორატორიის დირექტორს.

8. ვასილ სპირიდონის ძე **ლეკვეიშვილს** — ქუთაისის ვეტერინარულ-სანიტარული სადგურის დირექტორს.

9. პავლე ნიკოლოზის ძე **ოქროკვერცხოვს** — გორის სარაიონთაშორისო ვეტბაქლაბორატორიის გამგეს.

## საქართველოს სსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსისა:

1. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე **აბულაძეს** — დმანისის რაიონის ცხოველთა საჯიშე საქმის ხელოვნური დათესლვის სადგურის უფროს ზოოტექნიკოსს.

2. ვასილ ერასტის ძე **ალავიძეს** — ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარ ზოოტექნიკოსს.

3. შოთა ნიკოლოზის ძე **გოძიაშვილს** — სიღნაღის რაიონის თუშური ცხვრის სახელმწიფო ჯიშსაშენის უფროს ზოოტექნიკოსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ლეონიდე ფერდინანდის ძე **ვიდურას** — სტალინირის რაიონის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურის უფროს ზოოტექნიკოსს.

5. იოსებ ანდრიას ძე **კახიანს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსს.

6. კონსტანტინე იაკობის ძე **კოვზირიძეს** — სამგორის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.

7. პიმენ ვასილის ძე **კუბლაშვილს** — ხაშურის საინკუბატორო სადგურის დირექტორს.

8. მამია ბესარიონის ძე **ლომთათიძეს** — საქართველოს ზოოვეტერინარულ სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის კრწანისის სასწავლო-ექსპერიმენტალური მეურნეობის მთავარ ზოოტექნიკოსს.

9. გიორგი იაგორის ძე **მარდალეიშვილს** — ტყიბულის რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ ზოოტექნიკოსს.

10. ტარიელ კონსტანტინეს ძე **მაჭავარიანს** — ორჯონიკიძის რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსს.

11. მარიამ გრიგოლის ასულ **მდივანს** — ბოლნისის სარაიონთაშორისო მეფრინველეობის ფერმის ზოოტექნიკოსს.

12. ამაზასპ ვანოს ძე **ნიკოღოსიანს** — ახალქალაქის რაიონის ვაჩიანის მეხორცეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მთავარ ზოოტექნიკოსს.

13. აბესალომ ბართლომეს ძე **სვანიძეს** — საგარეჯოს რაიონის მუხროვანის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მთავარ ზოოტექნიკოსს.

14. ნაპოლეონ პავლეს ძე **სიჭინავას** — ყაზბეგის რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ ზოოტექნიკოსს.

15. ანაიდა ივანეს ასულ **სტეფანიანს** — თბილისის ფრინველის გამოსაზრდელ-გასასუქებელი მეურნეობის უფროს ზოოტექნიკოსს.

16. ვალერიან ნიკოლოზის ძე **ფხალაძეს** — გურჯაანის რაიონის ცხოველთა ხელოვნური დათესვლის სადგურის დირექტორს.

17. გაბრიელ ექვთიმეს ძე **ჩოხელს** — ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსს.

18. სიმონ ალექსის ძე **ცერცვაძეს** — გორის რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარ ზოოტექნიკოსს.

19. ვარლამ გიორგის ძე **ხანთაძეს** — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარ ზოოტექნიკოსს.

## საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორისა:

1. პოლიკარპე არქიპოს ძე **არაბიძეს** — თერჯოლის სარემონტო-ტექნიკური სადგურის ინჟინერ-მექანიზატორს.

2. ალექსანდრე ტარიელის ძე **ბოლქვაძეს** — ლანჩხუთის სარემონტო-ტექნიკური სადგურის ინჟინერ-მექანიზატორს.

3. ილია ივანეს ძე **ბეგაშვილს** — სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის [illegible]ნინის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. გიორგი იოსების ძე **გაგნიძეს** — ხაშურის სარემონტო-ტექნიკური სადგურის დირექტორს.

5. პავლე მიხეილის ძე **გეგეშიძეს** — სამტრედიის სარემონტო-ტექნიკური სადგურის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს.

6. დიმიტრი პავლეს ძე **გიგოლაშვილს** — თელავის რაიონის სოფელ იყალთოს კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს.

7. ვლადიმერ ასლანის ძე **გოგიბერიძეს** — ახალციხის სარემონტო-ტექნიკური სადგურის დირექტორს.

8. ვლადიმერ ლავრენტის ძე **გუგუტიშვილს** — თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორს.

9. ზაქარია ზაალის ძე **გურაშვილს** — სიღნაღის რაიონის დაბა წნორის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს.

10. დავით ელიზბარის ძე **დარჯანიას** — თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის სარემონტო-ტექნიკური სადგურის დირექტორს.

11. ვარლამ დუტუს ძე **დემურიას** — საქართველოს სსრ ჩაისა და ციტრუსების ტრესტის უფროს ინჟინერ-მექანიზატორს.

12. ილია ვლადიმერის ძე **თარაშვილს** — წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მექანიკოსს.

13. ესტატე ალექსის ძე **იაგუბოვს** — წალკის რაიონის სოფელ ბეშთაშენის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს.

14. ჯანგირ ქაზიმ ოღლი **იუსუბოვს** — მარნეულის რაიონის სოფელ ყაჩაღანის „კომუნიზმის" სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს.

15. იოსებ პეტრეს ძე **კენკებაშვილს** — თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს.

16. აკაკი ნიკოლოზის ძე **კობაიძეს** — დუშეთის სარემონტო-ტექნიკური სადგურის მთავარ ინჟინერ-მექანიზატორს.

17. ზაქარია გიორგის ძე **მამულაშვილს** — კასპის რაიონის სოფელ ქვემო ხანდაკის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს.

18. ივანე ნიკოლოზის ძე **მელიქიშვილს** — წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს.

19. არტაშ გეურქის ძე **მიკირტუმაშვილს** — თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოდის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს.

20. გიორგი რევაზის ძე **ნათიშვილს** — ბოლნისის სარემონტო-ტექნიკური სადგურის დირექტორს.

21. გურგენ გიორგის ძე **ოვანოვს** — სტალინირის სარემონტო-ტექნიკური სადგურის დირექტორს.

22. იოსებ ივანეს ძე **პაპუაშვილს** — წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობის ტრაქტორისტს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

23. სოლომონ თევდორეს ძე **სანაშვილს** — დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს.

24. გიორგი საბას ძე **სეხნიაშვილს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილეს.

25. გიორგი დავითის ძე **სისაურს** — მცხეთის რაიონის სოფელ გალავნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს.

26. გიორგი ვლადიმერის ძე **სიხაშვილს** — ქარელის რაიონის სოფელ ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს.

27. ირაკლი ასლანის ძე **ქავთარაძეს** — ჩრდილო-კავკასიის მანქანა-მეცხოველეობის სადგურის დირექტორს.

28. შალვა არჩილის ძე **ხიტირს** — რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარის მოადგილეს.

29. კონსტანტინე დავითის ძე **ჯაშს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რემონტისა და ექსპლუატაციის სამმართველოს უფროსს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წლის 27 მარტი.